

შპს “ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგება

საქართველო, ქ. ბათუმი
2019 წელ

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“

ს/ნ: 445409344

რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად
2012 წლის 02 მაისს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი/გოგებაშვილისკ20.

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ბათუმი/გოგებაშვილისკ20.

დირექტორი: ნურლან ტურიკპენბაიევი

მინდობილი პირი: ალექსანდრე ქიქავა

ტელ: (+995) 577904056

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. საქმიანობის ანგარიში
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. კომპანიის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა.

შპს „DLT-A აუდიტი“-ს დირექტორს

ბატონ თამაზ აბუსელიძეს

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს

ს/ნ 445409344 დირექტორის

მომართვა

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“ წარმოგიდგენთ 2018 წლის ინდივიდუალურ-ფინანსურ ანგარიშს. რომლის ვალდებულებაც მოქმედი კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად. ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“ რეგისტრირებულია 2012 წლის 02 მაისს. დანიშნული ვარ დირექტორად, ამჟამადაც ვაგრძელებ აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას.

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს დამფუძნებელი არის, ფ/პ ნურლან ტურიკპენბაიე პ/ნ N08303559 ყაზახეთის მოქალაქე 100%-ის წილით.

ჩვენი ფირმის მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ., №20

ჩვენი საწარმოს საქმიანობა მრავალდარგობრივია, მათ შორისაა: სასტუმრო, სარესტორნო და სხვა მომსახურეობა ამასთან ტურიზმის გაფართოება.

ორგანიზება და მართვა საქმიანობის.

ჩვენ საწარმოში საქმიანი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებული გვაქვს მწყობრი სტრუქტურული სისტემა . აპარატი დაკომპლექტებული გვყავს გამოცდილი იურდიული, ფინანსური და სხვა სპეციალობის მქონე პირებით.

ჩვენი საწარმოს უმთავრესი ამოცანაა ყოველწლიურად გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები.

ამასთან ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ და საჭიროების შემთხვევაში გავზარდოთ დასაქმებული თანამშრომელების რაოდენობა და მათი სახელფასო ფონდი.

2018 წელს შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს დასაქმებული გვყავდა 48 თანამშრომელი, მიგვაჩნია, რომ შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს მენეჯერთა გუნდი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარების ამოცანებს.

ფინანსური მაჩვენებლები ასახულია წარმოდგენილ ანგარიშში.

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს

დირექტორის მინდობილი პირი:

აღექსანდრე ქიქავა



2. საქმიანობის ანგარიში

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“ დაფუძნებულია 2012 წლის 02 მაისს. იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. ბათუმი გოგებაშვილის №20.

კომპანიის დამფუძნებელს და 100 % წილის მფლობელს წარმოადგენს 2017 წლის იანვრიდან არარეზიდენტი ფიზიკური პირი ნურლან ტურიკპენბაიევი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს დირექტორად არჩეულია --- ნურლან ტურიკპენბაიევი პ.ნ. N08303559, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე.

დირექტორის მინდობილი პირია ალექსანდრე ქიქავა საქართველოს მოქალაქე პ/ნ 61002020561(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №170662586 15.06. 2017წ).

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. სასტუმროს მომსახურება
2. სარესტორნო მომსახურება


სასტუმრო „ადმირალი“




რესტორანი „ადმირალის ტერასა“



2017-2018 წლების საოპერაციო შემოსავლები სახეობების მიხედვით (ლარებში):




5. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2017-2018 წლებში



მენეჯმენტის ხელფასის დინამიკა 2017-2018 წწ.

მენეჯმენტის ჯამური ხელფასი



სასტუმროს ვიზიტორთა რაოდენობა 2017-2018 წწ.



3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

- $$\text{მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} =$$

$$\frac{371233}{4887027} = 0.076$$

$$\bullet \text{ აქტივების ბრუნვაძობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან} \quad 1778842}{\text{სულ აქტივები} \quad 4488022} = \text{-----} =$$

=0,396

$$\bullet \text{ ძ. ს. გამოყენების ინტესივობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან} \quad 1778842}{\text{ძ.საშუალების ღირებულება} \quad 4751922} = \text{-----} =$$

=0,374

4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია :

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება ;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

განვითარების რესურსები:

- საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- გამოცდილება შესაბამის სექტორში;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
3. ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ
4. სრული შემოსავლების ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებაზე.

2. განცხადებაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონერებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

ა). კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.

ბ). ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმენას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შესაბამისაა მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

გ). სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დ). კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე.

ე). თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 01 აგვისტოს.

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს

დირექტორის მინდობილი პირი:

შპს „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“-ს

მთ.ბუღალტერი:

ალექსანდრე ქიქავა

თეონა შაქარაძე



2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯიას ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საწარმოს სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 278914 ლარს. ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესში საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა ალტერნატიული მეთოდით მიგვეღო რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასეულობების

რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შედეგად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ

ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირე-ბადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის

იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

თ. აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“ სსს-ს სახელით



3. ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ლარი

	2018	2017	2016
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები:</i>			
ნაღდი ფული	4 805	6 578	4 763
საბანკო ანგარიში	58 572	156 033	380 674
დებიტორული დავალიანება	28 942	67 185	27 571
საექვო ვალების რეზერვი	-	-	-
სულ დებიტორული დავალიანება	28 942	67 185	27 571
სასაქონლო მარაგები	6 823	7 885	6 269
ნედლეული	272 090	260 313	217 042
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	3 924
სხვა მისაღები თანხები	-	-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები	371 233	497 994	640 245
<i>ძირითადი საშუალებები:</i>	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებები	55 559	7 749	12 376
დაგროვილი ცვეთა	-	-	2 690
სულ სატრანსპორტო საშუალებები	55 559	7 749	9 687
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	406 450	492 450	158 298
დაგროვილი ცვეთა	-	-	56 478
სულ ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	406 450	492 450	101 819
მოწყობილობა და დანადგარები	62 642	78 303	122 348
დაგროვილი ცვეთა	-	-	24 470
სულ მოწყობილობა და დანადგარები	62 642	78 303	97 879
უძრავი ქონება	3 407 601	3 582 916	3 932 969
დაგროვილი ცვეთა	-	-	196 648

სულ უძრავი ქონება	3 407 601	3 582 916	3 736 321
მიწა	444 994	444 994	444 994
მთლიანი ძირითადი საშუალებები	4 377 247	4 606 412	4 390 699

არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები:			
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-
არამატერიალური აქტივები	3 443	3 153	900
მთლიანი არამატერიალური აქტივები	3 443	3 153	900

მთლიანი აქტივები	4 751 922	5 107 559	5 031 844
-------------------------	------------------	------------------	------------------

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები:			
კრედიტორული დავალიანება	38 840	19 294	203
დარიცხული გადასახადები	43 068	31 612	(19 135)
დარიცხული ხელფასები	5 164	983	2 449
ავანსად მიღებული შემოსავლები	5 010	1 095	761
მოკლევადიანი სესხები	-	398 958	518 773
გადასახდელი პროცენტები	4 794 944	3 928 526	2 671 010
	-	-	-

მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	4 887 026	4 380 468	3 174 061
--	------------------	------------------	------------------

გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	4 978 372	5 158 372	5 238 372
გადავადებული გადასახადები	-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
ლიზინგი	-	-	-

მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	4 978 372	5 158 372	5 238 372
---	------------------	------------------	------------------

მთლიანი ვალდებულებები	9 865 398	9 538 840	8 412 433
------------------------------	------------------	------------------	------------------

კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	(4 431 281)	(3 380 589)	(2 462 911)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	(682 196)	(1 050 692)	(917 678)
მთლიანი კაპიტალი	(5 113 477)	(4 431 281)	(3 380 589)

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი

4 751 922

5 107 559

5 031 844

დირექტორის წინდობილი პირი

მთავარი ბუღალტერი

ალექსანდრე ქიქავა

თეონა შაქარაძე

01.08.2019 წ.

4. სრული შემოსავლების ანგარიშგება

შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია

სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი

2018 წელი

2017 წელი

შემოსავლები:		
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	1 778 852	1 498 034
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	1 459	903
წმინდა ამონაგები	1 777 392	1 497 131
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	279 129	197 339
საერთო მოგება	1 498 263	1 299 792

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	561 350	499 051
ტრანსპორტირების ხარჯები	20 941	6 792
იჯარა	14 788	10 953
რეკლამა	7 231	4 683
კომუნალური ხარჯები	94 023	89 785
კომუნიკაციის ხარჯი	20 268	19 620

დაცვის ხარჯი	-	-
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	286 493	214 481
საოფისე ხარჯები	585	888
საბანკო მომსახურების ხარჯები	16 140	11 595
დაზღვევა	35 875	31 970
უიმედო ვალების ჩამოწერა	-	-
ქონების/მიწის გადასახადი	2 266	43 556
რემონტი	12 014	96 409
მივლინება	528	-
სხვა ხარჯი	49 427	27 206
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1 121 927	1 056 988

საოპერაციო მოგება/ზარალი	376 336	242 804
მიღებული დივიდენდი	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	356 948	391 061
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	656 420	1 464 955
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18 450	572 342
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	63 613	9 822
მოგების გადასახადი	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-
გასაცემი ხელფასი	-	-
წმინდა მოგება (ზარალი)	- 682 196	- 1 050 692

დირექტორის მინდობილი პირი

ალექსანდრე ქიქავა

მთავარი ბუღალტერი

თეონა შაქარაძე

01.08.2019 წ.

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2016 წაშთი	0	-2462911
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	0	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2016	-917678	-917678
31.12.2016 წაშთი	0	-3380589
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	0	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2017	-1050692	-1050692
31.12.2017 წაშთი	0	-4431281
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	0	0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2018	-682196	-682196
31.12.2018 წაშთი	0	-5113477

დირექტორის მინდობილი პირი

ალექსანდრე ქიქვა
01.08.2019 წ.

მთავარი ბუღალტერი

თეონა შაქარაძე

6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შპს ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი

	2017 წელი დეკემბრი	2018 წელი დეკემბრი
ფული პერიოდის დასაწყისში		
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	1523139,03	1632308,87
ავანსად მიღებული თანხები	164856,67	0
სულ შემოსული თანხები	1687995,7	1632308,87
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები	-811788,95	-886525,25
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	-395575,75	-15154,9
გადახდილი გადასახადები	-325285,19	-397952,61
სულ გაცემული თანხები	-1532649,89	-1299632,76
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	155345,81	332676,11
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-101660,7996	-151931,608
მიღებული დივიდენდები	0	0
	0	0
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-101660,7996	-151931,608
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	10615,37	11847,88
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-11778,35	-4783,42

სესხის ძირის დაფარვა	-211407,42	-107045,77
სესხის პროცენტის დაფარვა	-63941	-180000
გაცემული დივიდენდი	0	0
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	0	0
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-276511,4	-279981,31
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	- 222 826,39	-99236,808
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	385 437,66	162 611,27
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	162 611,27	63 374,46

დირექტორის მინდობილი პირი



ალექსანდრე ქიქვა

მთავარი ბუღალტერი

თეონა შაქარაძე

01.08.2019 წ.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „ფორჯიგეით ფროფერტის ჯორჯია“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ამონაგების აღიარება

როგორც სარესტორნო ასევე სასტუმროს მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება ყოველდღიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად დარიცხვის მეთოდით.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. აღნიშნული თარიღიდან მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. კომპანიას არ გააჩნია გაუნაწილებელი მოგება (უფიქსირდება ზარალი) და შესაბამისად არ გასცემს დივიდენდებს.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. შენობა ნაგებობების ცვეთის ნორმა არის 5%, ხოლო სხვა

ყველა დანარჩენ ძირითად საშუალებებზე ცვეთის ნორმად განსაზღვრულია 20 %. ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 15%-ით.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

არასავაჭრო პროფილის მიუხედავად სასაქონლო-მატერიალური მარაგების, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში, ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე მისი გამოყენების ფორმის მიხედვით (საწვავი, საკვები პროდუქტები სხვ.).

ყოველდღიურად ხდება მათი გახარჯვა-გამოყენების აღრიცხვა, თუმცა გახარჯული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ანგარიშიდან ჩამოიწერება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, კორექტირების შემდგომ საშუალო შეწონილის მეთოდით (ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას). სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

10. ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

11. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

12. რისკები და გაურკვევლობები

2017 წელს საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებულ იქნა კომპანიის გასვლითი საგადასახადო შემოწმება.

შემოწმების შედეგად კომპანიას დამატებით დაერიცხა სულ 22733 ლარი (მ.შ. ძირითადი გადასახადი - 13375 ლარი და ჯარიმა 9358 ლარი), გარდა ამისა დამატებით დარიცხული ძირითადი გადასახადიდან გამომდინარე კომპანიას დაერიცხა შებამისი საურავი. აღნიშნული დარიცხვა კომპანიის მიერ გასაჩივრებულ იქნა, რის შედეგადაც საგადასახადო ორგანოს მიერ მოხდა დარიცხული თანხების გადაანგარიშება და დამატებით გადასახდელი თანხა შემცირდა სულ 9400 ლარით და შესაბამისი საურავით.

დღევანდელი მდგომარეობით დამატებით დარიცხული თანხა შეადგენს 13333 ლარს.

13. შემოსავლები 2018 წელი

ლარი

საოპერაციო შემოსავლები	
შემოსავლები სასტუმროდან	1583521
შემოსავლები რესტორნიდან	181656
სხვა საოპერაციო შემოსავლები	13665
სულ საოპერაციო შემოსავლები	1778852
არასაოპერაციო შემოსავლები	
დადებითი საკურსი სხვაობა	18450
სხვა არა საოპერაციო შემოსავლები	0
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	18450
სულ შემოსავალი	1797302

14. ხარჯები 2018 წელი

ლარი

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	279129
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,123387
უარყოფითი საკურსო სხვაობა	63613
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1013369
სულ ხარჯები	
სულ ხარჯები	2,479,498

15. მოგება/ზარალი 2018 წელი

ლარი

სულ შემოსავალი	1797302
სულ ხარჯი	2479498
ზარალი	(682196)

16. სავაჭრო მოთხოვნები

ლარი

	2018 წელი 31 დეკემბერი
შპს „მარია ტრაველი“	1548,28
შპს „ჯორჯია ტრეველი“	334,5
FORTU TRAVELS AND TOURISM AGENCY LLC	6397.94
შპს სიემსი	348,3
GULFARA KENES	898
სხვა მოთხოვნები	19414.98
სულ მოთხოვნა	28942

17. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი

	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი	2016 წელი 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	272090	260313	217042
დაუმთავრებელი წარმოება			
მზა პროდუქცია			0
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	6823	7885	6269
სულ საქონელი	278914	268198	223311

18. ძირითადი საშუალებები

ღარი

[illegible]

საბალანსო ღირებულება									0
2016 წლის 31 დეკემბერი	900	444994,1	0	3736321	97878,46	101818,6	9686,04	0	4390699
2017 წლის 31 დეკემბერი	3152,55	444994,1	0	3582916	78302,77	492450,1	7748,83	0	4606412
2018 წლის 31 დეკემბერი	3152,55	444994,1	0	3407601	62642,22	406450,3	55559,06	0	4377247

19. არამატერიალური აქტივები

ლარი

არამატერიალური აქტივები
(პროგრამული უზრუნველყოფა)

საბალანსო ღირებულება 2016 წელი 31 დეკემბერი

900

გასული არამატერიალური აქტივები

0

შემოსული არამატერიალური აქტივები

2253

მიმდინარე ცვეთა

0

საბალანსო ღირებულება 2017 წელი 31 დეკემბერი

3153

გასული არამატერიალური აქტივები

0

შემოსული არამატერიალური აქტივები

290

მიმდინარე ცვეთა

0

საბალანსო ღირებულება 2018 წელი 31 დეკემბერი

3443

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

2018 წელი 31
დეკემბერი

სულ სავაჭრო მოთხოვნები

38840

ვალდებულებები პერსონალის მიმართ

5164

საგადასახადო ვალდებულებები

43068

სხვა ვალდებულებები

9778326

სულ ვალდებულებები

9865398

21. სასესხო ვალდებულებები

ლარი

2018 წელი 31
დეკემბერი

სესხის ძირი თანხა სს საქართველოს ბანკი

0

სესხის ძირი თანხა ფ/პ ნურლან ტურიკპენბაიე

4978372

სესხის პროცენტი

4794944

სულ სასესხო ვალდებულებები

9773316

22. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ლარი

ფულადი სახსრები სალაროში
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე

სს საქართველოს ბანკში
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე
სულ ფულადი სახსრები

2018 წელი 31
დეკემბერი

2017 წელი 31
დეკემბერი

4805	657
	0
	0
58572	156033
58572	156033
63377	162611

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის
ნებართვა გასცა 2019 წლის 01 აგვისტოს.

დირექტორის მინდობილი პირი


ალექსანდრე ქიქავა

მთავარი ბუღალტერი


თეონა შაქარაძე

01.08.2019 წ.